ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N2

20.11.2017 ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

16:30 საათი *ბიუროს სხდომათა დარბაზი*

მიმდინარე წლის 20 ნოემბერს, 16:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, რომელსაც აღნიშნული კომისიების თავმჯდომარეები გიორგი ჩაკვეტაძე და თედო ისაკაძე უძღვებოდნენ.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), მიხეილ ამაშუკელი (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), გიორგი მუსხელიშვილი (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი), დავით რურუა (კომისიის წევრი) და მარინა დათუკიშვილი (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომისიის წევრები, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამდივნოების, საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 8 (რვა) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა (12-031731434-03-10.11.2017)(**მომხსენებელი**-ზაზა ცინაძე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე);

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილეს ზაზა ცინაძეს.

მოისმინეს:

ზაზა ცინაძე -მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა პირველადი ბიუჯეტის პროექტით, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით გათვალისწინებული ძირითადი პრიორიტეტები.

წარმოდგენილი ბიუჯეტით, *სპორტული ღონისძიებები ფინანსდება* 3 000,0 ათასი ლარით, აქედან: 120,0 ათასი ლარი მოხმარდება, როგორც თბილისის ასევე ეროვნული ფედერაციების დაფინანსებას, 130,0 ათასი ლარი საკლუბო სპორტის განვითარებისთვისაა გათვალისწინებული, 500,0 ათასი ლარი მოხმარდება ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში არსებული სპორტული ა(ა)იპ-ების ფუნქციონერებას.

მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილია 2 296,9 ათასი ლარი,რაც გათვლილია 350 მწვრთნელ-მასწავლებლების მატერიალური წახალისებაზე.

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია-1 142,1 **ათასი ლარი.** გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობას მოხმარდება 542,1 ათასი ლარი, ხოლო 600,0 ათასი ლარი ფეხბურთის და კალათბურთის კომბინირებული სპორტული მოედნების მშენებლობას.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ/ტექნიკური გაზის გაუმჯობესება მშენებლობისთვის 3000,0 ათასი ლარი დაიხარჯება, პროგრამით უნდა განხორციელდეს მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის, ასვე წყნეთში, ლილოში და ნასაგურში საჭიდაო დარბაზების მშენებლობა.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება 390,0 ათასი ლარით დაფინანსდება, პროგრამის ფარგლებში წახალისდებიან წარმატებული შედეგების მქონე 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები.

პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა- 1 148,5 ათასი ათასი ლარით, რაც მოხმარდება შშმ პირთა საზოგადოებაში და საერთაშორისო პარასპორტულ სამყაროში ინტეგრაციას, თბილისში პარასპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას.

ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა– 1 230,2 ათასი ლარი, რაც გათვალისწინებულია ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობისთვის.

თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება-752,9 ათასი ლარი - პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ახალგაზრდული ცენტრის ფუნქციონირებისათვის და გამართული მუშაობისთვის საჭირო ხარჯებით დაფინანსება.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილ პროექტში არ არის საკმარისი რესურსი გათვალისწინებული პროგრამისთვის სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, როგორც მოგეხსენებათ წინაასარჩევნო პროგრამით ათივე რაიონში უნდა აშენდეს მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსები, რომლის განხორციელებასაც თბილისის ახალი მთავრობა გეგმავს, აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ 2018 წლის ბიუჯეტში თანხების აკუმულირება უნა მოხდეს მულტიფუნქციურ სპორტულ ცენტრებზე და ქვეპროგრამით (*სპორტული დაწესებულებების მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება მშენებლობა)* ერთი მულტიფუნქციური სპორტული კომპლექსის ნაცვლად უნა განხორციელდეს მეტი კომპლექსის მშენებლობა ასევე სხვა რაიონებისთვის მოხდეს მსგავსი კომპლექსების სამშენებლო პროექტების მომზადება.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს შესთავაზა, ,,ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 72-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, დასკვნა აღნიშნული რეკომენდაციით გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონებისა მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

გადაწყვიტეს: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სპორტის და ახლაგაზრდულ საქმეთა კომისიამ იმსჯელა და მიიღო გადაწყვეტილება, მოცემული რეკომენდაცია, აღნიშნული შენიშვნებით გადეგზავნოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, რეგლამენტით გათვალისწინებული შემდგომი რეაგირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ჩაკვეტაძე